



სახელმწიფო  
ინსპექტორის  
სამსახური

**ვერსონალური**  
მონაცემების დამუშავება

# დისტანციური სწავლების პროცესში



**რეკომენდაციები**



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა

# თემატური რეკომენდაციები COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის დროს პერსონალურ მონაცემთა მართვაზე

PHOTO CREDIT TETRA TECH

თარიღი: 20 იანვარი, 2022

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ. დოკუმენტი მომზადდა Tetra Tech-ის მხარდაჭერით.

ავტორი: შპს „იუაი“ – ტატო ჩანტლაძე, ელენე სულხანიშვილი, გიორგი ცინცქილაძე, გვანცა ჯიშიაშვილი

### **დათქმა**

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის მთავრობის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის შეხედულებებს.

## სარჩევი

რეკომენდაციები საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე .....	1
1. შესავალი.....	1
2. ტერმინთა განმარტება .....	2
3. ძირითადი წესები .....	3
4. დისტანციური სწავლებისას პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი .....	4
5. უსაფრთხოების დაცვა .....	10
6. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა სუბიექტების უფლებები და მათი რეალიზაციის მექანიზმები .....	12
7. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უფლებამოსილი პირის მეშვეობით.....	13
8. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის დამხმარე საშუალებები.....	15
დანართი 1: მოსწავლის/სტუდენტის ინფორმირების ფორმა .....	18
დანართი 2: მოსწავლის/სტუდენტის თანხმობის ფორმა.....	19
დანართი 3: საკონტროლო სია.....	20
რეკომენდაციები მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე .....	22
1. შესავალი.....	22
2. ტერმინთა განმარტება .....	23
3. ძირითადი წესები .....	24
4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი დისტანციური სწავლებისას.....	25
5. უსაფრთხოების დაცვა .....	28
6. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა სუბიექტების უფლებები და მათი რეალიზაციის მექანიზმები .....	35
7. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის დამხმარე საშუალებები.....	36

## რეკომენდაციები საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე

### 1. შესავალი

ახალი კორონავირუსით („COVID-19“) გამოწვეულმა პანდემიამ სირთულეები შექმნა განათლების სექტორშიც. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლებისთვის სათანადო საკანონმდებლო ბაზა პანდემიამდეც არსებობდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოუწიათ, სრულად გადასულიყვნენ დისტანციური სწავლების მეთოდზე. მათ დასჭირდათ, ძალიან მოკლე ვადებში გაემართათ სასწავლო პლატფორმები და გაეხადათ ისინი ხელმისაწვდომი მოსწავლეებისა თუ სტუდენტებისთვის. შესაბამისად, შესაძლოა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ჰქონოდათ საკმარისი დრო, დეტალურად გაეცნობიერებინათ დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები.

დისტანციური სწავლება აქტუალობას არ კარგავს და დიდი ალბათობაა, რომ დროის გასვლასთან ერთად კიდევ უფრო განვითარდეს. პერსონალურ მონაცემთა დაცვა ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და წარმოადგენს დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასების საკვანძო კრიტერიუმს.

მოცემული რეკომენდაციების მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეწოდოთ საბაზისო ინფორმაცია, როგორ დაამუშაონ პერსონალური მონაცემები დისტანციური სწავლებისას კანონმდებლობის მინიმალური სტანდარტების გათვალისწინებით. საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებები თავიდან აიცილებენ კანონდარღვევებსა და ჯარიმებს. გარდა ამისა, რეკომენდაციების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებები კიდევ უფრო დაუახლოვდებიან საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას დისტანციური სწავლებისას პერსონალური მონაცემების დამუშავების კუთხით, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მათ რეპუტაციაზე.

რეკომენდაციები საინფორმაციო ხასიათისაა და საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად არიან პასუხისმგებელნი პროცედურების შემუშავებასა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

რეკომენდაციებს თან ახლავს მაგალითები, რომლებიც არ არის ამომწურავი და მოცემულია მხოლოდ საილუსტრაციოდ.

დამატებით, წინამდებარე რეკომენდაციებში წარმოდგენილია რჩევები, რომლებიც კიდევ უფრო დაახლოებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან.

## 2. ტერმინთა განმარტება

### 2.1. პერსონალური მონაცემი

ნებისმიერი ინფორმაცია მოსწავლის/სტუდენტის შესახებ პერსონალური მონაცემია. მაგალითად:

<ul style="list-style-type: none"><li>▶ სახელი და გვარი.</li><li>▶ ტელეფონის ნომერი.</li><li>▶ საცხოვრებელი მისამართი.</li><li>▶ ელექტრონული ფოსტის მისამართი.</li><li>▶ გამოსახულება და ხმა.</li><li>▶ დასწრება დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე.</li><li>▶ დისტანციური გაკვეთილების/ლექციების ცხრილი.</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>▶ მასწავლებლის/ლექტორის კომენტარები შესრულებულ დავალებაზე.</li><li>▶ ფოტოსურათი Microsoft Teams-ში.</li><li>▶ ელექტრონულ პროგრამაში შესვლისათვის საჭირო პაროლი.</li><li>▶ შესრულებული დავალებისთვის მიღებული შეფასება.</li><li>▶ საგამოცდო შეფასება.</li></ul>
---	--

### 2.2. პერსონალური მონაცემის დამუშავება

მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება პერსონალური მონაცემის დამუშავებაა. მაგალითად:

<ul style="list-style-type: none"><li>▶ რეგისტრაცია ელექტრონულ პროგრამაში დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დასწრების მიზნით.</li><li>▶ დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე ვიდეოკამერის/აუდიო ზარის მეშვეობით ჩართვა.</li><li>▶ დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დამსწრეთა სიის ამოკითხვა და ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხვა.</li><li>▶ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით დავალების გამოკითხვა.</li><li>▶ შესრულებული დავალების შემოწმება.</li><li>▶ შესრულებული დავალებისთვის შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში.</li><li>▶ საგამოცდო შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში.</li></ul>
--

### 3. ძირითადი წესები

პერსონალურ მონაცემთა დასაცავად ოთხ ძირითად გარემოებას უნდა მიაქციოთ ყურადღება. ესენია:

- ▶ არსებობს თუ არა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საფუძველი (მაგალითად: კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე საჭიროება ან სტუდენტის განცხადებიდან გამომდინარე აუცილებლობა).
- ▶ შეესაბამება თუ არა დისტანციური სწავლებისას მოთხოვნილი, შენახული, გამოყენებული, გაგზავნილი პერსონალური მონაცემები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს (მაგალითად: ვადა, მიზანი).
- ▶ უზრუნველყოფილია თუ არა პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება ანუ ის ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც მოსწავლეებს და სტუდენტებს მონაცემების შემთხვევითი და უკანონო გამჟღავნებისგან იცავს.
- ▶ რეალიზებული და ხელმისაწვდომია თუ არა დისტანციურ სწავლებაში ჩართული პირებისთვის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული უფლებები (მაგალითად: შესწორების, განახლების, შეცვლის, ინფორმირების და სხვა უფლებები).

საქართველოს კანონმდებლობა (მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი) ოთხივე საკითხს დეტალურად აწესრიგებს - ამომწურავად განსაზღვრავს საფუძველებს, პრინციპებს, ადგენს ვადებს, უფლებების კონკრეტულ ჩამონათვალს და სხვა.

დისტანციური სწავლების პროცესში უნდა:

- ▶ დარწმუნდეთ, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება გჭირდებათ დისტანციური სწავლებისთვის.
  - მაგალითად, გამოიყენოთ მოსწავლის/სტუდენტის ელექტრონული ფოსტა დავალების გასაგზავნად.
- ▶ დაამუშაოთ პერსონალური მონაცემები დისტანციური სწავლებისთვის საჭირო მოცულობით.
  - მაგალითად, დაამუშაოთ მოსწავლის/სტუდენტის მხოლოდ სახელი და გვარი მისი დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დასწრების აღრიცხვისათვის.
- ▶ დარწმუნდეთ, რომ თქვენ მიერ დისტანციური სწავლებისას შენახული პერსონალური მონაცემები არის ნამდვილი და ზუსტი.
  - მაგალითად, არ შეიყვანოთ მოსწავლის/სტუდენტის მიერ შესრულებული დავალების მცდარი შეფასება ელექტრონულ ჟურნალში.
- ▶ განაახლოთ მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემები, რომლებიც შეიცვალა.
  - მაგალითად, ამ მიზნით მოსწავლეებს/სტუდენტებს მისცეთ საშუალება, განაახლონ თავიანთი ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, პაროლი) ელექტრონულ პროგრამაში/ჟურნალში.

- ▶ შეინახოთ მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემები დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ვადით.
  - მაგალითად, ელექტრონული პროგრამიდან წაშალოთ სტუდენტთა შესრულებული დავალებები შეფასების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ.
- ▶ დაბლოკოთ, წაშალოთ ან გაანადგუროთ მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემები, რომლებიც აღარ გჭირდებათ ან შეინახოთ ისეთი ფორმით, რომ მოსწავლის/სტუდენტის ამოცნობა შეუძლებელი იყოს.
  - მაგალითად, დაშიფროთ მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემები - იდენტიფიცირებადი პირადი ინფორმაცია (მაგალითად, სახელი და გვარი) შეცვალოთ ინიციალებით.

**დაშვებულია**

დაამუშაოთ მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემები, თუ კანონმდებლობით პირდაპირ გაქვთ ასეთი ვალდებულება.

მაგალითად: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N95/ნ ბრძანების თანახმად, სკოლა ვალდებულია სისტემატურად აწარმოოს მოსწავლეთა დისტანციურ გაკვეთილებზე დასწრების აღრიცხვა.

შესაბამისად, ამ მიზნით, შეგიძლიათ, აღრიცხოთ მოსწავლის დისტანციურ გაკვეთილზე დასწრება პერსონალური მონაცემების გამოყენებით.

**მნიშვნელოვანია**

დაიცვათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წესი ერთდროულად პერსონალური მონაცემების დამუშავებისას.

**დაუშვებელია**

მოითხოვოთ დისტანციურ ლექციაზე დასასწრებად სტუდენტის ისეთი პერსონალური მონაცემი, რომელიც მისი იდენტიფიკაციისათვის საჭირო არ არის, მაგალითად, ოჯახური მდგომარეობა.

**დაუშვებელია**

არ გქონდეთ განსაზღვრული პერსონალური მონაცემების შენახვის კონკრეტული ვადები.

**4. დისტანციური სწავლებისას პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესი**

დისტანციური სწავლება ორგანიზებულია სინქრონული, ასინქრონული და შერეული სწავლების ფორმით.

**სინქრონული სწავლებისას** - მოსწავლე/სტუდენტი და მასწავლებელი/ლექტორი ერთდროულად ერთგვებიან დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე. დღეს ეს სწავლების ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია.



სინქრონული სწავლებისას პერსონალური მონაცემები მუშავდება ელექტრონული პროგრამებისა და ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით.

სინქრონული სწავლების პროცესში მუშავდება მოსწავლის/სტუდენტის ხმა და გამოსახულება, შესაძლებელია გაკვეთილის/ლექციის ფოტო/ვიდეო გადაღება და აუდიო ჩაწერა.

**ასინქრონული სწავლება** - გულისხმობს მასწავლებლის/ლექტორის და მოსწავლის/სტუდენტის ერთგვარ აცდენას დროში. ასეთი სწავლებისას მასწავლებელმა/ლექტორმა შესაძლოა, დავალება მისცეს მოსწავლეებს/სტუდენტებს, რომლებიც ამ დავალებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეასრულებენ. ამ დროს არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლეებს/სტუდენტებს პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ მასწავლებელთან/ლექტორთან.

ასინქრონული სწავლების პროცესში გამოიყენება ელექტრონული პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეებს/სტუდენტებს მიეწოდებათ გაკვეთილის/ლექციის მასალები, დავალებები, მოწმდება მათ მიერ შესრულებული დავალებები და იწერება შეფასება.

**შერეული სწავლება** - გულისხმობს სასწავლო პროცესის დროს სინქრონული და ასინქრონული დისტანციური სწავლების ელემენტების არსებობას. მასწავლებელი/ლექტორი შეიძლება გარკვეულ დავალებებს აძლევდეს მოსწავლეს/სტუდენტს, რომელიც ასინქრონულად არის შესასრულებელი და ამავე გაკვეთილის/ლექციის ფარგლებში იყოს გამოყოფილი დრო, როდესაც სინქრონული სესიები იმართება.

მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლების სამივე ფორმა სხვადასხვა პერსონალური მონაცემების დამუშავებას საჭიროებს, ნიშანდობლივია თითოეულ შემთხვევაში ელექტრონული პროგრამების გამოყენების აუცილებლობა. ვირტუალურ სამყაროში მოხვედრილი პერსონალური მონაცემები საჭიროებს სათანადო დაცვას. უნდა შეფასდეს თუ რამდენად დაცულია იმ პროგრამების უსაფრთხოება, რომლებიც გამოიყენება დისტანციური სწავლების პროცესის განსახორციელებლად. აუცილებელია პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მაქსიმალურად შეზღუდვა იმ პირებისთვის, რომლებიც არ არიან უშუალოდ ჩართული სწავლების პროცესში და არ ევალებათ დისტანციური სწავლების ორგანიზება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს კონკრეტული ვადები მოსწავლეების/სტუდენტების დავალების შენახვისთვის და ამ ვადის გასვლის შემდეგ მონაცემები წაიშალოს ან შენახულ იქნას ისე, რომ მოსწავლის/სტუდენტის ამოცნობა შეუძლებელი იყოს. სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა პერსონალური მონაცემების მაქსიმალური დაცვისთვის მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა/სტუდენტთა ინფორმირებას. მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირი აცნობიერებდეს თუ რა მიზნითა და საშუალებებით მუშავდება პერსონალური მონაცემები და როგორ დაიცვას ისინი. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური რეკომენდაციები, გთხოვთ, იხილოთ წინამდებარე დოკუმენტში.

#### **4.1. საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო მონაცემების, ხმისა და ვიზუალური გამოსახულების დამუშავება**

დისტანციური სწავლების პროცესში ყველაზე ხშირად მუშავდება ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორცაა მოსწავლის/სტუდენტის სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტა, პაროლი, ხმა და ვიზუალური გამოსახულება.

- ▶ სახელი და გვარი - მოსწავლის/სტუდენტის სახელისა და გვარის დამუშავება საჭიროა მისი იდენტიფიცირებისათვის, გაკვეთილზე/ლექციაზე დასწრების აღრიცხვისა და ელექტრონულ ჟურნალში შეფასების ასახვისთვის.

**მნიშვნელოვანია**

დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დამსწრე მოსწავლეთა/სტუდენტთა სია ელექტრონულ პროგრამაშივე გახსნათ და არ ჩამოტვირთოთ პერსონალურ კომპიუტერში პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების მიზნით.

- ▶ ელექტრონული ფოსტა და პაროლი - მოსწავლეები/სტუდენტები ელექტრონულ ფოსტასა და პაროლს იყენებენ, რათა შეძლონ ელექტრონული პროგრამით სარგებლობა. ისინი ელექტრონული ფოსტის მისამართით წევრიანდებიან შესაბამის საგაკვეთილო ჯგუფში.

**მნიშვნელოვანია**

შეიმუშაოთ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ელექტრონული ფოსტისა და პაროლის უსაფრთხოებას. დამატებითი კონკრეტული რჩევები შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე რეკომენდაციების ქვეთავში - უსაფრთხოების დაცვა.

- ▶ ხმა და ვიზუალური გამოსახულება - მოსწავლის/სტუდენტის ხმის დამუშავება საჭიროა მაშინ, როდესაც მან უნდა უპასუხოს მასწავლებლის/ლექტორის დასმულ შეკითხვას, თავად დასვას კითხვა ან ჩააბაროს გაკვეთილი/ლექცია.

**დაუშვებელია**

მოსთხოვთ სტუდენტს ვიზუალური გამოსახულების ლექციის განმავლობაში გაზიარება, მაშინ როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს (მაგალითად არ მიმდინარეობს გამოცდის დაკვირვება).

**დაუშვებელია**

სტუდენტის საკონტაქტო და საიდენტიფიკაციო მონაცემები გადასცეთ ახალგაზრდების დასაქმებით დაინტერესებულ კომპანიას, სტუდენტის თანხმობის გარეშე.

**4.2. ელექტრონულ პროგრამებში რეგისტრაცია/ავტორიზაცია/პროფილი**

დისტანციურ გაკვეთილზე დასასწრებად მოსწავლეები/სტუდენტები რეგისტრირდებიან ელექტრონულ პროგრამებში, როგორცაა მაგალითად, Microsoft Teams, Zoom და ელექტრონული ჟურნალები: <https://onlineschool.emis.ge> და <https://eservices.schoolbook.ge>.

აღნიშნულ პროგრამებზე დასარეგისტრირებლად მოსწავლეებს/სტუდენტებს სჭირდებათ ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი.

**მნიშვნელოვანია**

მისცეთ წვდომა დისტანციურ გაკვეთილებზე/ლექციებზე მხოლოდ იმ მოსწავლეებს/სტუდენტებს, რომლებიც ირიცხებიან შესაბამისი საგნის სიაში.

**მნიშვნელოვანია**

წაშალოთ ზედმეტი ინფორმაცია, მაგალითად: როგორც წესი, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დანიშნულებას კარგავს ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი სასწავლო ჯგუფების და მათზე არსებული ინფორმაციის შენახვა.

ელექტრონულ პროგრამებზე რეგისტრაციის შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებები მოსწავლეებს/სტუდენტებს აწევრიანებენ შესაბამის საგაკვეთილო ჯგუფებში.

### მნიშვნელოვანია

შეიმუშაოთ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ელექტრონული პროგრამების უსაფრთხო გამოყენებას. დამატებითი კონკრეტული რჩევები შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე რეკომენდაციების ქვეთავში - უსაფრთხოების დაცვა.

#### 4.3. შესრულებული დავალებები და შეფასება

დისტანციური სწავლებისას მოსწავლეები ელექტრონულ პროგრამაში ტვირთავენ შესრულებულ დავალებებს, სტუდენტები კი რიგ შემთხვევებში იყენებენ ელექტრონულ ფოსტას დავალების ლექტორისთვის გასაგზავნად. მასწავლებლები/ლექტორები შესრულებულ დავალებებზე უკუკავშირს ასევე ელექტრონული პროგრამის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ახორციელებენ.

#### მნიშვნელოვანია

უზრუნველყოთ, რომ მასწავლებლის/ლექტორის მხოლოდ მოსწავლისთვის/სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი, რომელსაც იგი უშუალოდ ეხება.

#### მნიშვნელოვანია

წაშალოთ მოსწავლის/სტუდენტის შესრულებული დავალებები ელექტრონული პროგრამიდან, მათთვის საბოლოო შეფასების დაწერის შემდეგ, თუკი მათი შენახვის აუცილებლობა არ არსებობს.

#### 4.4. მოსწავლის/სტუდენტის პროაქტიული ინფორმირება

დისტანციური სწავლებისას მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე/სტუდენტი სათანადოდ იყოს ინფორმირებული თუ რა ქმედებები ხორციელდება მათი პერსონალური მონაცემების მიმართ.

არასრულწლოვნები განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, რადგან ნაკლებად აცნობიერებენ ამ პროცესთან დაკავშირებულ რისკებს. მათ აქვთ იგივე უფლებები თავიანთ პერსონალურ მონაცემებზე, რაც სრულწლოვნებს. ამრიგად, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ არასრულწლოვანთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. არასრულწლოვნებს უნდა მიაწოდოთ ინფორმაცია რაც შეიძლება ნათელ, გასაგებ ენაზე, რათა მკაფიოდ აღიქვან პერსონალური მონაცემების დამუშავების შედეგები და თავიანთი უფლებები. ასეთი ინფორმაციის მიწოდებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რაც შეიძლება მარტივი ენა, სიმბოლოები, სურათები და ანიმაციებიც კი.

მოსწავლეთა/სტუდენტთა ინფორმირება მათი პირველადი რეგისტრაციისას ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სწორი პრაქტიკის დანერგვისთვის.

## მნიშვნელოვანია

მიაწოდოთ მოსწავლეს/სტუდენტს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაცია თავისთვის გასაგებ ენაზე.

## მნიშვნელოვანია

დისტანციური სწავლების პროცესში ჩართვამდე მიაწოდოთ მოსწავლეს/სტუდენტს დეტალური ინფორმაცია თუ რა პერსონალური მონაცემები და რა მიზნით უნდა დაამუშაოთ სასწავლო წლის განმავლობაში. ასევე, მიაწოდოთ განახლებული ინფორმაცია რაიმე ცვლილების შემთხვევაში.

### 4.5. მოსწავლის/სტუდენტის თანხმობა

დისტანციური სწავლების პროცესში მონაცემთა სუბიექტის თანხმობა არ არის მონაცემთა დამუშავების ძირითადი საფუძველი. აღნიშნული პროცესი უფრო იმგვარ საფუძველებს ეყრდნობა, როგორცაა კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობებით გამოწვეული საჭიროება, კანონით გათვალისწინებული შემთხვევები და სხვა.

ზოგადად, თანხმობა არ არის მონაცემთა დამუშავების უნივერსალური საფუძველი. მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუკი გარანტირებულია მონაცემთა სუბიექტის ნების თავისუფლება და თანხმობაზე უარი მოსწავლისა და სტუდენტისთვის რაიმე უარყოფით შედეგს არ იწვევს.

თანხმობასთან მიმართებით გავრცელებული ნაკლოვანებაა ინფორმირების დოკუმენტის თანხმობის დოკუმენტში აღრევა. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მიწოდებაში თანხმობის მოპოვებამდე დარწმუნდეთ.

მოსწავლის/სტუდენტის ინფორმირების შემდეგ უნდა დარწმუნდეთ, რომ მან წინასწარ, თავისი ნებით ნათლად გამოთქვა სურვილი მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

აუცილებელია, რომ თანხმობა იყოს:

- ▶ ნებაყოფლობითი.
- ▶ გამოხატული წინასწარ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებამდე.
- ▶ გამოხატული პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების შემდეგ.
- ▶ გამოხატული კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე.
- ▶ გამოხატული ისეთი საშუალებით, რომლითაც ნათლად დგინდება მოსწავლის/სტუდენტის ნება.

## მნიშვნელოვანია

დარწმუნდეთ, რომ მოსწავლის/სტუდენტის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებამდე სახეზეა თანხმობის კანონიერებისთვის განსაზღვრული ყველა ზემოაღნიშნული კომპონენტი.

## მნიშვნელოვანია

გაითვალისწინოთ, რომ მოსწავლის/სტუდენტის წერილობითი თანხმობა არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი მიზნით შეგიძლიათ დაამუშაოთ მისი პერსონალური მონაცემები. მიუხედავად თანხმობისა, უნდა დაიცვათ წინამდებარე რეკომენდაციების ქვეთავში - ძირითადი წესები ჩამოთვლილი ყველა პრინციპი.

## დაუმჯებელია

გააზიაროთ მოსწავლის/სტუდენტის თანხმობის გარეშე მის შესახებ ინფორმაცია სოციალური ქსელის ფარგლებში შექმნილ საერთო ჯგუფში, რომელშიც თქვენი მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები არიან გაწევრიანებული.

### 4.6. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

დისტანციური სწავლებისას ზოგიერთ პერსონალურ მონაცემზე მოქმედებს დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი. ასეთს წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. მაგალითად:

- ▶ მოსწავლის/სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, საპროცესო გარიგებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის რელიგიური შეხედულებები.
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის პოლიტიკური შეხედულებები.
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის სქესობრივი ცხოვრება.
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების შესახებ ინფორმაცია.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შეგიძლიათ მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, მოსწავლის/სტუდენტის წერილობითი თანხმობით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, რათა შეძლოთ მათი დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვა. ასეთ დროს მნიშვნელოვანია გკონდეთ ინფორმაცია მოსწავლის/სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

### მნიშვნელოვანია

გამოიჩინოთ მომეტებული ყურადღება დისტანციური სწავლებისას განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას და მაქსიმალურად დაიცვათ მოსწავლეთა/სტუდენტთა პერსონალური მონაცემები.

### დაუმჯებელია

გაასაჯაროოთ ან მესამე პირებს გაუმჟღავნოთ მოსწავლის/სტუდენტის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მისი თანხმობის გარეშე.

## 5. უსაფრთხოების დაცვა

### 5.1. რა უსაფრთხოების ზომები უნდა დანერგო დაწესებულებაში?

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი შინაარსობრივად ეფუძნება რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას და გავალდებულებთ, მიიღოთ ფიზიკური პირის უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული რისკების საპასუხოდ ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც მაქსიმალურად უზრუნველყოფენ მონაცემთა დამუშავების პრინციპებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების ეფექტიან დაცვას.

უსაფრთხოების ზომების შემუშავება და დანერგვა დამოკიდებულია თქვენი დაწესებულების ზომაზე და მონაცემთა დამუშავების შიდა პროცესებზე. დაწესებულებების საქმიანობის განსხვავებული სპეციფიკიდან გამომდინარე არ არსებობს უნიკალური, მზა მიდგომა, რომელიც სრულად უპასუხებს მათ საჭიროებებს. ქვემოთ მოცემულია ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც დაგეხმარებათ შეაფასოთ და განსაზღვროთ, რა ზომები უნდა დანერგოთ დაწესებულებაში:

- ▶ **აღწერეთ დაწესებულებაში არსებული პერსონალური მონაცემები:** პერსონალური მონაცემების სამართავად და რისკების შესაფასებლად მნიშვნელოვანია, აღწეროთ დისტანციური სწავლების პროცესთან დაკავშირებული ყველა პერსონალური მონაცემი (მაგალითად, დასწრების სია), რომელსაც იღებთ დასამუშავებლად, თავად ქმნით დაწესებულებაში ან გადასცემთ სხვა ორგანიზაციებს.

მონაცემების აღწერისას განიხილეთ დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებული პერსონალური მონაცემები. აღწერეთ მათი შინაარსი, შენახვის ვადები, გამოყენებული სისტემები და მოწყობილობები (მაგ: ელ. ფოსტა, კომპიუტერი, მობილური, დისტანციური სწავლების აპლიკაციები (მაგ: zoom, teams, google meet და სხვა), სადაც ინახება და მუშავდება პერსონალური მონაცემები.

- ▶ **გამოვლენილი პერსონალური მონაცემებისთვის შეაფასეთ დაკავშირებული რისკები.**

რისკების შეფასებისას განიხილეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი მოთხოვნა (რეგულაციები, შიდა წესები და სხვა). რისკის მაგალითებს წარმოადგენს:

- დისტანციური სწავლების აპლიკაციის არასწორი გამოყენების გზით მოსწავლეთა/სტუდენტთა პირადი მონაცემების უნებართვო გაზიარება.
- საჭირო სირთულის პაროლის არარსებობის გამო მასწავლებლის პერსონალურ კომპიუტერზე უნებართვო წვდომა.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულ მოწყობილობებთან (კომპიუტერი, ტაბლეტი, ტელეფონი და სხვა) და სისტემებთან (ქსელი, აპლიკაციები და სხვა) დაკავშირებულ რისკებს, რომლებიც დაგეხმარებათ ტექნიკური სისუსტეების გამოვლენაში და შეუსაბამოების პრევენციაში. მაგალითად: მუდმივად განახლეთ დისტანციური სწავლების აპლიკაციები, მედია მატარებელი, რომელზეც ინახავთ პერსონალურ მონაცემებს დაიცავით პაროლით ან შიფრაციის მეთოდებით.



- ▶ **შეიმუშავეთ კონტროლის მექანიზმები:** იდენტიფიცირებული რისკების საპასუხოდ შეიმუშავეთ შიდა უსაფრთხოების წესები და შექმენით კონტროლის ისეთი გარემო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. კონტროლები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: მოწყობილობების (ლექტოპი, ტელეფონი, ტაბლეტი და ა.შ.) და პორტატული შემნახველი (USB) საშუალებების მართვას, სამუშაო ელ-ფოსტის მართვას, დისტანციური სწავლებისას გამოყენებული აპლიკაციების უსაფრთხოდ მართვას და ა. შ.
- ▶ **მოახდინეთ უსაფრთხოების წესების კომუნიკაცია:** გააცანით თანამშრომლებს ორგანიზაციის უსაფრთხოების წესები და მასში განხორციელებული ყველა ახალი ცვლილება. ცნობიერების ამაღლების ტრენინგები ჩატარეთ არა მხოლოდ თანამშრომლებს, არამედ ბავშვებს, მშობლებსა და პერსონალური მონაცემების დამუშავებაში მონაწილე ყველა სუბიექტს.

## 5.2. დისტანციური სწავლების ძირითადი სისტემების უსაფრთხოდ გამოყენების რეკომენდაციები დაწესებულებებს

დისტანციური სწავლების პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისთვის, რეკომენდებულია დამხმარე აპლიკაციების ფუნქციონალის სწორად მართვა. სახელმწიფო ინსპექტორის შემოწმებებისა და კითხვარების შედეგების მიხედვით ყველაზე ხშირად გამოყენებული აპლიკაციის - ზუმის მაგალითზე ქვევით მოყვანილია ის პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც ზემოხსენებულ რისკებს ეხმიანება და დაგეხმარებათ დისტანციური სწავლების უსაფრთხოდ წარმართვაში.


### Zoom

1. **ერთჯერადი კოდი** - კოდი უსაფრთხოების დამატებითი საშუალებაა, რომლის ცოდნა შეხვედრის მაიდენტიფიცირებელ ნომერთან (ID) ერთად აუცილებელი რეკვიზიტია შეხვედრაზე დასასწრებად.
2. **მოსაცდელი ოთახი** - გაააქტიურეთ ფუნქციონალი, რათა შეხვედრაზე დაუშვათ მხოლოდ თქვენ მიერ შერჩეული ავტორიზებული მომხმარებლები.
3. **ზუმის მომხმარებლები (Authenticated Users)** - ამ კონფიგურაციის დაყენების შედეგად შეხვედრაზე შემოსვლას მხოლოდ ზუმში რეგისტრირებული მომხმარებლები შეძლებენ. შესაბამისად, ანონიმურ პირებს წვდომა შეზღუდული ექნებათ.

The image shows the 'Schedule meeting' form in Zoom. The 'Security' section is highlighted with red boxes and numbered 1, 2, and 3. Item 1 points to the 'Passcode' field, which is set to '228323'. Item 2 points to the 'Waiting Room' checkbox, which is checked. Item 3 points to the 'Only authenticated users can join: Sign in to Zoom' checkbox, which is also checked. Other visible settings include 'Start' (Thu, December 9, 2021, 05:00 PM), 'Duration' (1 hour, 0 minute), 'Recurring meeting' (unchecked), 'Meeting ID' (Generate Automatically selected), 'Video' (Host: On, Participants: Off), and 'Audio' (Telephone and Computer Audio selected).

4. **შეხვედრის ჩაკეტვა** - ფუნქციონალის გააქტიურებით, შეხვედრის დაწყების შემდეგ ტექნიკურად შეზღუდვით ახალი მონაწილეების დამატების შესაძლებლობას. შესაბამისად, ერთჯერადი კოდისა და პაროლის ცოდნის შემთხვევაშიც, გაკვეთილის/ლექციის დაწყების შემდეგ არავტორიზებული პირები შეხვედრას ვერ დაესწრებიან.

5. **ფუნქციების შეზღუდვა** - რეკომენდებულია დამსწრეებს შეუზღუდოთ უფლებები, როგორცაა ეკრანის გაზიარება, საკუთარი სახელის გადარქმევა, ფაილების გაზიარება და ა. შ. გარდა ამისა, საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ დამსწრეებს გამოურთოთ აუდიოსა და ვიდეოს გაზიარების შესაძლებლობა.



მსგავსი პრაქტიკული რეკომენდაციები უნდა მოამზადოთ და გააცნოთ პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტს (მასწავლებლები, ლექტორები, ადმინისტრაცია და ა.შ.).

## 6. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა სუბიექტების უფლებები და მათი რეალიზაციის მექანიზმები

დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლეს/სტუდენტს უფლება აქვს, მოგთხოვოთ:

- ▶ ინფორმაცია თუ რა პერსონალურ მონაცემებს ფლობთ დისტანციური სწავლებისას მოსწავლის/სტუდენტის შესახებ, საიდან, რა მიზნითა და საფუძვლით მოიპოვეთ ასეთი პერსონალური მონაცემები.
- ▶ ინფორმაცია, ხომ არ გაგიციათ დისტანციური სწავლებისას მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემები სხვა პირებზე.
- ▶ დისტანციური სწავლებისას არაზუსტი ან არასრული პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, და უსაფუძვლოდ შეგროვებული პერსონალური მონაცემების წაშლა, დაბლოკვა ან განადგურება.
- ▶ თანხმობის გამოხმობა დისტანციური სწავლებისას მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.



თქვენ ვალდებული ხართ:

- ▶ მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოთ ინფორმაცია მოსწავლეს/სტუდენტს, დისტანციური სწავლებისას რა პერსონალურ მონაცემებს, რა წყაროდან, რა მიზნითა და საფუძვლით ფლობთ მის შესახებ. ასევე, გაცემულა თუ არა მონაცემები სხვა პირებზე და რა მიზნით.
- ▶ ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მოსწავლე/სტუდენტი. მათ უფლება აქვთ, მიიღონ პერსონალურ მონაცემთა ასლები უსასყიდლოდ, გარდა იმ პერსონალური მონაცემებისა, რომელთა გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილია გარკვეული საფასური.
- ▶ გაცეთ ინფორმაცია მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ, ან არაუგვიანეს 10 დღისა თუ პასუხის გაცემა მოითხოვს:
  - ინფორმაციის სხვა დაწესებულებაში ან სტრუქტურულ ერთეულში მოძიებასა და დამუშავებას ან მასთან კონსულტაციას.
  - მნიშვნელოვანი მოცულობის, ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას.
  - სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.
- ▶ გაასწოროთ, განაახლოთ, დაამატოთ, დაბლოკოთ, წაშალოთ ან გაანადგუროთ მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემები მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში ან აცნობოთ მოსწავლეს/სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უარის თქმის საფუძველი.
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის მონაცემების თქვენი ინიციატივით შესწორების (მაგალითად თუ შეასწორებთ საგამოცდო ნაშრომის შეფასებას) შემთხვევაში, აცნობოთ ამის შესახებ მას.
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის ინფორმირებისთვის ყურადღება მიაქციოთ არა მხოლოდ ოფიციალური ფორმით წარმოდგენილ მათ მომართვებს, არამედ თქვენთან კონტაქტის სხვა გზებსაც, მაგალითად ელექტრონულ ფოსტას. ამ საშუალებებით წარმოდგენილ მომართვებზე რეაგირება სავალდებულოა.
- ▶ აღრიცხოთ დისტანციური სწავლებისას მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაცემის შემთხვევები და ეს ინფორმაცია შეინახოთ გაცემულ პერსონალურ მონაცემებთან ერთად, იმ ვადით რა ვადითაც ინახება აღნიშნული პერსონალური მონაცემები.

## 7. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უფლებამოსილი პირის მეშვეობით

დისტანციური სწავლებისას შესაძლებელია ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მომსახურებით სარგებლობა. მაგალითად, შესაძლებელია დაიქირაოთ კომპანია დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ელექტრონული პროგრამების დაინსტალირებისა და გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად. თუ აღნიშნული კომპანია რაიმე ფორმით დაამუშავებს მოსწავლის/სტუდენტის პერსონალურ მონაცემებს თქვენთვის ან თქვენი სახელით, ის ჩაითვლება უფლებამოსილ პირად.

უფლებამოსილი პირის მიერ დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დასამუშავებლად მასთან უნდა დადოთ წერილობითი ხელშეკრულება ან/და შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე უნდა იყოს გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავება (მაგალითად, კანონი, მინისტრის ბრძანება).

უფლებამოსილ პირთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი პუნქტები:

- ▶ შეთანხმების საგანი.
- ▶ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ხანგრძლივობა.
- ▶ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზანი.
- ▶ პერსონალური მონაცემების სახე.
- ▶ თქვენი და უფლებამოსილი პირის უფლებები და ვალდებულებები.
- ▶ კონფიდენციალურობის ვალდებულება.
- ▶ უსაფრთხოების სათანადო ზომები.
- ▶ ქვეკონტრაქტორების გამოყენების პირობები (ასეთის არსებობისას).
- ▶ მოსწავლის/სტუდენტის უფლებები.
- ▶ ხელშეკრულების გაუქმების პირობები და სხვ.

**მნიშვნელოვანია**

გაუწიოთ რეგულარული მონიტორინგი უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლეთა/სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას დისტანციური სწავლებისას.

**დაუშვებელია**

დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ, თქვენი თანხმობის გარეშე, მონაცემთა დამუშავების უფლების სხვა პირისთვის გადაცემა.

**დაუშვებელია**

უფლებამოსილი პირის მიერ დამუშავდეს მოსწავლეთა/სტუდენტთა პერსონალური მონაცემები ხელშეკრულებით ან/და სამართლებრივი აქტით დადგენილისგან განსხვავებული მიზნით.

**დაუშვებელია**

დადოთ ხელშეკრულება უფლებამოსილ პირთან, თუ არსებობს მის მიერ დისტანციური სწავლებისას მოსწავლეთა/სტუდენტთა პერსონალური მონაცემების არამიზნობრივი დამუშავების საფრთხე.

## 8. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის დამხმარე საშუალებები

### 8.1. ცნობადობის ამაღლება

დისტანციური სწავლებისას საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დასაცავად და კანონიერად დამუშავებისთვის, რეკომენდებულია ყველა პირს, რომელიც ამ მონაცემებს ამუშავებს, ჰქონდეს სათანადო ცოდნა:

- ▶ რა არის პერსონალური მონაცემი.
- ▶ რას ნიშნავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება.
- ▶ რა ვალდებულებები აქვს პერსონალურ მონაცემთან შეხებისას.
- ▶ რა შემთხვევებშია დაშვებული პერსონალურ მონაცემთა გამოყენება.
- ▶ რა რისკებთანაა დაკავშირებული პერსონალურ მონაცემთა უკანონო დამუშავება.
- ▶ როგორ უნდა იმოქმედოს დარღვევების შემთხვევაში.

აღნიშნულ პირთა ინფორმირება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვას, რაც აგარიდებთ კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობებს. ამ მიზნით შეგიძლიათ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში ჩართულ ყველა პირს ჩაუტაროთ საინფორმაციო შეხვედრები/ტრენინგები.

### 8.2. პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა დისტანციური სწავლებისას

რეკომენდებულია, გქონდეთ პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა, რომელშიც გარდა მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლებისა, განისაზღვრება მონაცემთა დამუშავების ვადები, ელექტრონულ მონაცემებზე წვდომის წესები, პირობები და უსაფრთხოების გარანტიები. ასევე, აღნიშნული პოლიტიკით დადგინდება მონაცემთა დამუშავებისას უფლებამოსილების განხორციელების მონიტორინგი და გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება.

მნიშვნელოვანია, თუ პოლიტიკით გაამახვილებთ ყურადღებას სკოლების შემთხვევაში ბავშვთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. აღნიშნულმა შესაძლოა მეტი დაინტერესება გამოიწვიოს იმ კონკრეტული პირების, რომლებიც ჩართულები არიან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში და დააფიქროს ისინი პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობაზე.

**გახსოვდეთ!** პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა მონაცემთა გამჭვირვალედ დამუშავების დეკლარირებას უნდა ახდენდეს. დისტანციური სწავლების პროცესში პოლიტიკის ძირითადი ადრესატები მოსწავლეები/სტუდენტები, მათი წარმომადგენლები, ასევე, საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლები არიან. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკა მორგებული იყოს არასრულწლოვნების ინტერესებს და უპირველესად მათთვის გასაგებ ენაზე აღწერდეს მონაცემთა დამუშავების პროცესებს.

### 8.3. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების რისკების ზეგავლენის შეფასება

საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასება საუკეთესო პრაქტიკად ითვლება ბევრ ქვეყანაში. მიზანშეწონილია, დანერგოთ აღნიშნული პრაქტიკა დისტანციური სწავლებისას მაღალი რისკების მართვის მიზნით.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასებისთვის შეგიძლიათ შექმნათ დოკუმენტი, რომელიც უნდა აღწერდეს პერსონალურ მონაცემთა კატეგორიას, მათი დამუშავების მიზნებს, პროპორციულობას, პროცესსა და საფუძვლებს, აფასებდეს ადამიანის ძირითადი უფლებების შელახვის შესაძლო საფრთხეებს და პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ითვალისწინებდეს გასატარებელ ზომებს.

### 8.4. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

მონაცემთა სუბიექტების სიმრავლე, არასრულწლოვნების მონაცემების ხანგრძლივი ვადით დამუშავება, პროცესების ონლაინ სივრცეში წარმართვა, სადაც მოსწავლეები/სტუდენტები ძირითადად პირადი და ოჯახური გარემოდან ერთვებიან გაკვეთილებსა თუ ლექციებში ზრდის პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ დამუშავების საფრთხეს. დისტანციური სწავლების პროცესის პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სტანდარტებთან შესაბამისობისთვის მიზანშეწონილია, დანიშნოთ ან განსაზღვროთ დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც იქნება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი:


- ▶ მონიტორინგს გაუწევს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესში კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას.
- ▶ უზრუნველყოფს დაწესებულების ინფორმირებასა და კონსულტაციას პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობისა და მისი მოთხოვნების შესახებ.
- ▶ დაეხმარება დაწესებულებას, შეიმუშაოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა და პროცედურები.
- ▶ გააცნობს დაწესებულების თანამშრომლებს კანონმდებლობით და შიდა პოლიტიკებით დადგენილ ვალდებულებებს.
- ▶ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მათ შორის, მოამზადებს სატრენინგო კურსებს მასწავლებლებისთვის, მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოდ დამუშავების შესახებ.
- ▶ გასცემს კონსულტაციას და შეამოწმებს მონაცემთა დამუშავების ზეგავლენის შეფასების პროცესს.
- ▶ იქნება მთავარი საკონტაქტო პირი სახელმწიფო ინსპექტორის აპარატთან და მონაცემთა სუბიექტებთან (თანამშრომლები, მოსწავლეები/სტუდენტები, მშობლები და სხვა).

## 8.5. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან კონსულტაცია

დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სწორი პრაქტიკის დანერგვის მიზნით რეკომენდებულია, ნებისმიერ საკითხზე კონსულტაცია გაიაროს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი.

ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე არსებული საქმის წარმოების პროგრამა.









### [Casemanagement.pdp.ge](http://Casemanagement.pdp.ge)



საქმის წარმოების პროგრამა ელექტრონული პლატფორმაა, რომელზე დარეგისტრირების შემდეგ ინსპექტორის აპარატთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ერთ ონლაინ სივრცეშია შესაძლებელი. შეგიძლიათ მიიღოთ კონსულტაცია, გააგზავნოთ შეტყობინება, მიმართოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს განცხადებით და თვალი ადევნოთ რა ეტაპზეა თქვენი განცხადების თუ შეტყობინების განხილვა.




## დანართი 1: მოსწავლის/სტუდენტის ინფორმირების ფორმა

ქვემოთ მოცემულია დისტანციური სწავლებისას მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ინფორმირების ნიმუში, რომელიც შესაძლებელია ადაპტირდეს თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებისა და სპეციფიკის შესაბამისად.

	დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დასასწრებად საგანმანათლებლო დაწესებულება ამუშავებს თქვენს საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაციას: სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი.	 გასაგებია <input type="checkbox"/>
	საგანმანათლებლო დაწესებულება აღრიცხავს თქვენს დასწრებას დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე.	 გასაგებია <input type="checkbox"/>
	დისტანციურ გაკვეთილზე მასწავლებლის/ლექტორის შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, კითხვის დასასმელად, გაკვეთილის/ლექციის ჩასაბარებლად ან სხვა მიზნით საჭიროა ჩართოთ მიკროფონი.	 გასაგებია <input type="checkbox"/>
	თქვენი ნაშრომის შესაფასებლად მასწავლებელი/ლექტორი შეასწორებს თქვენს დავალებას.	 გასაგებია <input type="checkbox"/>
<p>მოსწავლის/სტუდენტის სახელი და გვარი: _____</p> <p style="text-align: center;">ხელმოწერა: _____</p> <p style="text-align: center;">თარიღი: _____</p>		

## დანართი 2: მოსწავლის/სტუდენტის თანხმობის ფორმა

ქვემოთ მოცემულია დისტანციური სწავლებისას მოსწავლის/სტუდენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის ნიმუში, რომელიც შესაძლებელია ადაპტირდეს თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებისა და სპეციფიკის შესაბამისად.

	<p>მე თანახმა ვარ, საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩაიწეროს დისტანციური გაკვეთილი/ლექცია შემდგომში ჩემთვის ხელმისაწვდომობის მიზნით.</p>	 კი <input type="checkbox"/>	 არა <input type="checkbox"/>
<p>მოსწავლის/სტუდენტის სახელი და გვარი: _____</p> <p style="text-align: center;">ხელმოწერა: _____</p> <p style="text-align: center;">თარიღი: _____</p>			



### დანართი 3: საკონტროლო სია

ქვემოთ მოცემულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკონტროლო სია, რომელიც დაგეხმარებათ თვითშეფასებაში რამდენად ხართ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. იგი შემუშავდა GDPR-ის<sup>1</sup> ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული სიის საფუძველზე.

<b>სამართლებრივი საფუძველი და გამჭვირვალობა</b>	
<input type="checkbox"/>	დისტანციური სწავლების პროცესში ფლობ ინფორმაციას თუ რა პერსონალურ მონაცემებს ამუშავებ და ვის აქვს წვდომა ასეთ მონაცემებზე.
<input type="checkbox"/>	შეგიძლია სამართლებრივად დაასაბუთო დისტანციური სწავლებისას თითოეული შენი მოქმედება პერსონალური მონაცემების მიმართ.
<input type="checkbox"/>	დისტანციური სწავლების პროცესთან დაკავშირებით შექმნილი გაქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა, რომელშიც ნათლადაა ასახული პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას განხორციელებული მოქმედებები და მათი სამართლებრივი დასაბუთება.
<b>მონაცემთა უსაფრთხოება</b>	
<input type="checkbox"/>	დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვას იღებ მხედველობაში ნებისმიერი ახალი პროგრამის გამოყენებისას.
<input type="checkbox"/>	დისტანციური სწავლების პროცესში, როდესაც შესაძლებელია, ახორციელებ პერსონალური მონაცემების შენახვას იმ ფორმით, რომ მათი ამოცნობა შეუძლებელი იყოს.
<input type="checkbox"/>	დაწესებულებაში დასაქმებულთათვის შექმნილი გაქვს უსაფრთხოების შიდა პოლიტიკა და ეწევი პერსონალურ მონაცემთა დაცვის კუთხით ცნობიერების ამაღლებას დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით.
<input type="checkbox"/>	იცი თუ რა დროს, როგორ და ვის მიმართო/შეატყობინო დისტანციური სწავლების პროცესში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას გამოვლენილი დარღვევების თაობაზე.
<b>ანგარიშვალდებულება</b>	
<input type="checkbox"/>	ორგანიზაციაში დანიშნული გყავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი.

<sup>1</sup> ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია).



☐	ყველა მესამე პირთან, რომელიც შენი სახელით ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს დისტანციური სწავლებისას, გაქვს გაფორმებული ხელშეკრულება კანონით გათვალისწინებული ფორმით.
<b>მონაცემთა სუბიექტთა უფლებები</b>	
☐	მონაცემთა სუბიექტებს აწვდი სათანადო ინფორმაციას დისტანციური სწავლებისას მათ შესახებ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.
☐	მონაცემთა სუბიექტებს მარტივად შეუძლიათ, მოგმართონ დისტანციური სწავლების პროცესში მათ შესახებ პერსონალურ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნით.
☐	დროულად აკმაყოფილებ მონაცემთა სუბიექტების თითოეულ მოთხოვნას დისტანციური სწავლებისას მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

დამატებით შეგიძლიათ გაეცნოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ თვითშეფასების [კითხვარს](#).

## რეკომენდაციები მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისთვის დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე

### 1. შესავალი

ახალი კორონავირუსით („COVID-19“) გამოწვეულმა პანდემიამ სირთულეები შექმნა განათლების სექტორშიც. მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლებისთვის სათანადო საკანონმდებლო ბაზა პანდემიამდეც არსებობდა, საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოუწიათ, სრულად გადასულიყვნენ დისტანციური სწავლების მეთოდზე. მათ დასჭირდათ, ძალიან მოკლე ვადებში გაემართათ სასწავლო პლატფორმები და გაეხადათ ისინი ხელმისაწვდომი მოსწავლეებისა თუ სტუდენტებისთვის. შესაბამისად, შესაძლოა საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ ჰქონოდათ საკმარისი დრო, დეტალურად გაეცნობიერებინათ დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები.

დისტანციური სწავლება აქტუალობას არ კარგავს და დიდი ალბათობაა, რომ დროის გასვლასთან ერთად კიდევ უფრო განვითარდეს. პერსონალურ მონაცემთა დაცვა ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და წარმოადგენს დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასების საკვანძო კრიტერიუმს.

დისტანციური სწავლებისას პერსონალური მონაცემების გამოყენება გარკვეულ საფრთხეებთანაა დაკავშირებული ინტერნეტ სივრცის ნაკლები დაცულობის გამო. აღნიშნულ პროცესში პერსონალურ მონაცემთა არასათანადო დაცვა ზრდის მონაცემთა უკანონო მიზნებისათვის გამოყენების რისკებს და საფრთხის ქვეშ აყენებს მოსწავლეების/სტუდენტების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

მოცემული რეკომენდაციების მიზანია მოსწავლეებს/სტუდენტებს მიეწოდოთ ინფორმაცია, როგორ უნდა დამუშავდეს მათი პერსონალური მონაცემები კანონიერად დისტანციური სწავლებისას და რა უფლებები აქვთ ამ კუთხით. აღნიშნული დაეხმარებათ უკეთ აღიქვან დისტანციური სწავლების გავლენა მათ პერსონალურ მონაცემებზე. შედეგად ისინი შეძლებენ, დაიცვან თავიანთი პერსონალური მონაცემები დისტანციური სწავლებისას და არ გახდნენ კანონდარღვევების მსხვერპლი.

რეკომენდაციები საინფორმაციო ხასიათისაა. მათ თან ახლავს მაგალითები, რომლებიც არ არის ამომწურავი და მოცემულია მხოლოდ საილუსტრაციოდ.

## 2. ტერმინთა განმარტება

### 2.1. პერსონალური მონაცემი

ნებისმიერი ინფორმაცია თქვენ შესახებ პერსონალური მონაცემია. მაგალითად:

<ul style="list-style-type: none"><li>▶ სახელი და გვარი.</li><li>▶ ტელეფონის ნომერი.</li><li>▶ საცხოვრებელი მისამართი.</li><li>▶ ელექტრონული ფოსტის მისამართი.</li><li>▶ გამოსახულება და ხმა.</li><li>▶ დასწრება დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე.</li><li>▶ დისტანციური გაკვეთილების/ლექციების ცხრილი.</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>▶ მასწავლებლის/ლექტორის კომენტარები შესრულებულ დავალებაზე.</li><li>▶ ფოტოსურათი Microsoft Teams-ში.</li><li>▶ ელექტრონულ პროგრამაში შესვლისათვის საჭირო პაროლი.</li><li>▶ შესრულებული დავალებისთვის მიღებული შეფასება.</li><li>▶ საგამოცდო შეფასება.</li></ul>
---	--

### 2.2. პერსონალური მონაცემის დამუშავება

თქვენი პერსონალური მონაცემის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება პერსონალური მონაცემის დამუშავებაა. მაგალითად:

<ul style="list-style-type: none"><li>▶ რეგისტრაცია ელექტრონულ პროგრამაში დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დასწრების მიზნით.</li><li>▶ დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე ვიდეოკამერის/აუდიო ზარის მეშვეობით ჩართვა.</li><li>▶ დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დამსწრეთა სიის ამოკითხვა და ელექტრონულ ჟურნალში აღრიცხვა.</li><li>▶ ელექტრონული პროგრამის მეშვეობით დავალების გამოკითხვა.</li><li>▶ შესრულებული დავალების შემოწმება.</li><li>▶ შესრულებული დავალებისთვის შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში.</li><li>▶ საგამოცდო შეფასების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში.</li></ul>
--

### 3. ძირითადი წესები

პერსონალურ მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის ოთხი ძირითადი გარემოებაა მნიშვნელოვანი:

- ▶ არსებობს თუ არა მონაცემთა დამუშავების საფუძველი (მაგალითად: კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობიდან გამომდინარე საჭიროება ან სტუდენტის განცხადებიდან გამომდინარე აუცილებლობა).
- ▶ შეესაბამება თუ არა დისტანციური სწავლებისას მოთხოვნილი, შენახული, გამოყენებული, გაგზავნილი პერსონალური მონაცემები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებს (მაგალითად: ვადა, მიზანი).
- ▶ უზრუნველყოფილია თუ არა პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება ანუ ის ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც თქვენს პერსონალურ მონაცემებს შემთხვევითი და უკანონო გამჟღავნებისგან იცავს.
- ▶ ხელმისაწვდომია თუ არა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით თქვენი, როგორც მონაცემთა სუბიექტის უფლებები (მაგალითად: შესწორების, განახლების, შეცვლის, ინფორმირების და სხვა უფლებები).

საქართველოს კანონმდებლობა (მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი) ოთხივე საკითხს დეტალურად აწესრიგებს - ამომწურავად განსაზღვრავს საფუძვლებს, პრინციპებს, ადგენს ვადებს, უფლებების კონკრეტულ ჩამონათვალს და სხვა.

დისტანციური სწავლების პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებული არიან:

- ▶ დაამუშაონ თქვენი პერსონალური მონაცემები დისტანციური სწავლებისთვის საჭირო მოცულობით.
  - მაგალითად, დაამუშაონ თქვენი სახელი და გვარი დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე დასწრების აღრიცხვისათვის.
- ▶ შეინახონ თქვენი ნამდვილი და ზუსტი პერსონალური მონაცემები.
  - მაგალითად, არ შეიყვანონ თქვენ მიერ შესრულებული დავალების მცდარი შეფასება ელექტრონულ ჟურნალში.
- ▶ განახლონ თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებიც შეიცვალა.
  - მაგალითად, ამ მიზნით მოგცენ საშუალება, განახლოთ თქვენი პირადი ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, პაროლი) ელექტრონულ პროგრამაში/ჟურნალში.
- ▶ შეინახონ თქვენი პერსონალური მონაცემები დისტანციური სწავლებისთვის საჭირო ვადით.
  - მაგალითად, ელექტრონული პროგრამიდან წაშალონ თქვენი შესრულებული დავალებები შეფასების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ.
- ▶ დაბლოკონ, წაშალონ ან გაანადგურონ თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებიც აღარ სჭირდებათ ან შეინახონ ისეთი ფორმით, რომ თქვენი ამოცნობა შეუძლებელი იყოს.
  - მაგალითად, დაშიფრონ თქვენი პერსონალური მონაცემები - იდენტიფიცირებადი პირადი ინფორმაცია (მაგალითად, სახელი და გვარი) შეცვალონ ინიციალებით.

### დაუმჯობესებელია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ დისტანციურ ლექციაზე დასასწრებად მოგთხოვოთ ისეთი პერსონალური მონაცემი, რომელიც თქვენი იდენტიფიკაციისათვის საჭირო არ არის, მაგალითად, თქვენი პოლიტიკური შეხედულება.

### დაუმჯობესებელია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეინახოს თქვენი პერსონალურ მონაცემები განუსაზღვრელი ვადით.

## 4. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესი დისტანციური სწავლებისას

დისტანციური სწავლება ორგანიზებულია სინქრონული, ასინქრონული და შერეული სწავლების ფორმით.

**სინქრონული სწავლებისას** - მოსწავლე/სტუდენტი და მასწავლებელი/ლექტორი ერთდროულად ერთგვებიან დისტანციურ გაკვეთილზე/ლექციაზე. დღეს ეს სწავლების ყველაზე ხშირად გამოყენებადი მეთოდია.

სინქრონული სწავლებისას პერსონალური მონაცემები მუშავდება ელექტრონული პროგრამებისა და ელექტრონული ჟურნალების მეშვეობით.

სინქრონული სწავლების პროცესში მუშავდება მოსწავლის/სტუდენტის ხმა და გამოსახულება, შესაძლებელია გაკვეთილის/ლექციის ფოტო/ვიდეო გადაღება და აუდიო ჩაწერა.

**ასინქრონული სწავლება** - გულისხმობს მასწავლებლის/ლექტორის და მოსწავლის/სტუდენტის ერთგვარ აცდენას დროში. ასეთი სწავლებისას მასწავლებელმა/ლექტორმა შესაძლოა, დავალება მისცეს მოსწავლეებს/სტუდენტებს, რომლებიც ამ დავალებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში შესრულებენ. ამ დროს არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლეებს/სტუდენტებს პირდაპირი კონტაქტი ჰქონდეთ მასწავლებელთან/ლექტორთან.

ასინქრონული სწავლების პროცესში გამოიყენება ელექტრონული პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეებს/სტუდენტებს მიეწოდებათ გაკვეთილის/ლექციის მასალები, დავალებები, მოწმდება მათ მიერ შესრულებული დავალებები და იწერება შეფასება.

**შერეული სწავლება** - გულისხმობს სასწავლო პროცესის დროს სინქრონული და ასინქრონული დისტანციური სწავლების ელემენტების არსებობას. მასწავლებელი/ლექტორი შეიძლება გარკვეულ დავალებებს აძლევდეს მოსწავლეს/სტუდენტს, რომელიც ასინქრონულად არის შესასრულებელი და ამავე გაკვეთილის/ლექციის ფარგლებში იყოს გამოყოფილი დრო, როდესაც სინქრონული სესიები იმართება.

მიუხედავად იმისა, რომ დისტანციური სწავლების სამივე ფორმა სხვადასხვა პერსონალური მონაცემების დამუშავებას საჭიროებს, ნიშანდობლივია თითოეულ შემთხვევაში ელექტრონული პროგრამების გამოყენების აუცილებლობა. ვირტუალურ სამყაროში მოხვედრილი პერსონალური მონაცემები საჭიროებს სათანადო დაცვას. უნდა შეფასდეს თუ რამდენად დაცულია იმ პროგრამების უსაფრთხოება, რომლებიც გამოიყენება დისტანციური სწავლების პროცესის განსახორციელებლად. აუცილებელია პერსონალურ მონაცემებზე წვდომის მაქსიმალურად შეზღუდვა იმ პირებისთვის,

რომლებიც არ არიან უშუალოდ ჩართული სწავლების პროცესში და არ ევალებათ დისტანციური სწავლების ორგანიზება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია განსაზღვრული იყოს კონკრეტული ვადები მოსწავლეების/სტუდენტების დავალების შენახვისთვის და ამ ვადის გასვლის შემდეგ მონაცემები წაიშალოს ან შენახულ იქნას ისე, რომ მოსწავლის/სტუდენტის ამოცნობა შეუძლებელი იყოს. სასწავლო პროცესში ჩართულ პირთა პერსონალური მონაცემების მაქსიმალური დაცვისთვის მეტი ყურადღებაა საჭირო მოსწავლეთა/სტუდენტთა ინფორმირების კუთხით. მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირი აცნობიერებდეს თუ რა მიზნითა და საშუალებებით მუშავდება პერსონალური მონაცემები და როგორ დაიცვას ისინი.

#### 4.1. საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო მონაცემების, ხმისა და ვიზუალური გამოსახულების დამუშავება

დისტანციური სწავლების პროცესში ყველაზე ხშირად მუშავდება ისეთი პერსონალური მონაცემები, როგორცაა მოსწავლის/სტუდენტის სახელი და გვარი, ელექტრონული ფოსტა, პაროლი, ხმა და ვიზუალური გამოსახულება.

- ▶ სახელი და გვარი - მოსწავლის/სტუდენტის სახელისა და გვარის დამუშავება საჭიროა მისი იდენტიფიცირებისათვის, გაკვეთილზე/ლექციაზე დასწრების აღრიცხვისა და ელექტრონულ ჟურნალში შეფასების ასახვისთვის.
- ▶ ელექტრონული ფოსტა და პაროლი - მოსწავლის/სტუდენტის ელექტრონულ ფოსტასა და პაროლს იყენებენ, რათა შეძლონ ელექტრონული პროგრამით სარგებლობა. ისინი ელექტრონული ფოსტის მისამართით წევრიანდებიან შესაბამის საგაკვეთილო ჯგუფში.

#### მნიშვნელოვანია

მიიღოთ შესაბამისი ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს თქვენი ელექტრონული ფოსტისა და პაროლის უსაფრთხოებას. დამატებითი კონკრეტული რჩევები შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე რეკომენდაციების ქვეთავში - უსაფრთხოების დაცვა.

- ▶ ხმა და ვიზუალური გამოსახულება - მოსწავლის/სტუდენტის ხმის დამუშავება საჭიროა მაშინ, როდესაც მან უნდა უპასუხოს მასწავლებლის/ლექტორის დასმულ შეკითხვას, თავად დასვას კითხვა ან ჩააბაროს გაკვეთილი.

#### დაუშვებელია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოგთხოვოთ ლექციის ვიდეოჩანაწერის შენახვა, მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს (მაგალითად არ მიმდინარეობს გამოცდის დაკვირვება).

#### დაუშვებელია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ თქვენი საკონტაქტო და საიდენტიფიკაციო მონაცემები გადასცეს სტუდენტების დასაქმებით დაინტერესებულ კომპანიას, თქვენი თანხმობის გარეშე.



## 4.2. ელექტრონულ პროგრამებში რეგისტრაცია/ავტორიზაცია

დისტანციურ გაკვეთილზე დასასწრებად მოსწავლეები/სტუდენტები რეგისტრირდებიან ელექტრონულ პროგრამებში, როგორცაა მაგალითად, Microsoft Teams, Zoom, ელექტრონული ჟურნალები <https://onlineschool.emis.ge> და <https://eservices.schoolbook.ge>.

აღნიშნულ პროგრამებზე დასარეგისტრირებლად მოსწავლეებს/სტუდენტებს სჭირდებათ ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი.

ელექტრონულ პროგრამებში რეგისტრაციის შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებები მოსწავლეებს/სტუდენტებს აწევრიანებენ შესაბამის საგაკვეთილო ჯგუფებში.

### მნიშვნელოვანია

მასწავლებლის/ლექტორის უკუკავშირი მხოლოდ თქვენთვის იყოს ხელმისაწვდომი, და არა იმ მოსწავლისთვის/სტუდენტისთვის, რომელსაც იგი უშუალოდ არ ეხება.

### მნიშვნელოვანია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წაშალოს თქვენ მიერ შესრულებული დავალებები ელექტრონული პროგრამიდან, მათთვის საბოლოო შეფასების დაწერის შემდეგ, თუკი მათი შენახვის აუცილებლობა აღარ არსებობს.

### მნიშვნელოვანია

მიიღოთ შესაბამისი ზომები, რითაც უზრუნველყოფთ ელექტრონული პროგრამების უსაფრთხო გამოყენებას. დამატებითი კონკრეტული რჩევები შეგიძლიათ იხილოთ წინამდებარე რეკომენდაციების ქვეთავში - უსაფრთხოების დაცვა.

## 4.3. შესრულებული დავალებები და შეფასება

დისტანციური სწავლებისას მოსწავლეები ელექტრონულ პროგრამაში ტვირთავენ შესრულებულ დავალებებს, სტუდენტები კი რიგ შემთხვევებში იყენებენ ელექტრონულ ფოსტას დავალების ლექტორისთვის გასაგზავნად. მასწავლებლები/ლექტორები შესრულებულ დავალებებზე უკუკავშირს ასევე ელექტრონული პროგრამის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ახორციელებენ.

### მნიშვნელოვანია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ დისტანციურ გაკვეთილებზე/ლექციებზე მოგცეთ წვდომა მხოლოდ იმ მოსწავლეებს/სტუდენტებს, რომლებიც ირიცხებით შესაბამისი საგნის სიაში.

### მნიშვნელოვანია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ წაშალოს ზედმეტი ინფორმაცია, მაგალითად: როგორც წესი, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დაწინაურებას კარგავს ელექტრონულ პროგრამაში შესაბამისი სასწავლო ჯგუფების და მათზე არსებული ინფორმაციის შენახვა.

#### 4.4. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება

დისტანციური სწავლებისას ზოგიერთ პერსონალურ მონაცემზე მოქმედებს დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი. ასეთ მონაცემებს კანონმდებლობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებად მოიხსენიებს. მაგალითად:

- ▶ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.
- ▶ თქვენს ნასამართლობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, საპროცესო გარიგებასთან დაკავშირებით ინფორმაცია.
- ▶ თქვენი რელიგიური შეხედულებები.
- ▶ თქვენი ეთნიკური და რასობრივი კუთვნილების შესახებ ინფორმაცია.
- ▶ თქვენი პოლიტიკური შეხედულებები.
- ▶ თქვენი სქესობრივი ცხოვრება.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, მაგალითად, თქვენი წერილობითი თანხმობით.

გარდა ამისა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამონაკლისს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, რათა მოხდეს მათი დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართვა. ასეთ დროს მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეწოდოთ ინფორმაცია მოსწავლის/სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

#### მნიშვნელოვანია

გამოიჩინოთ მომეტებული ყურადღება დისტანციური სწავლებისას თქვენი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას და მაქსიმალურად დაიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები.

#### დაუშვებელია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაასაჯაროოს ან მესამე პირებს გაუმჟღავნოს თქვენი განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები თქვენი წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

#### 5. უსაფრთხოების დაცვა

როგორც წესი, დისტანციური სწავლების ფორმა არის მოწყვლადი კიბერშეტევების მიმართ. დაკავშირებული რისკების ეფექტურად მინიმიზაციისთვის მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის აქტიური ჩართულობა და უსაფრთხოების მინიმალური საბაზისო წესების დაცვა.



ქვემოთ მოცემულია ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც დაგეხმარებათ პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფაში.

## 5.1. ქსელის და მოწყობილობების მომზადება

დისტანციური გაკვეთილის/ლექციის დაწყებამდე მნიშვნელოვანია კომპიუტერული მოწყობილობისა და ქსელის მომზადება. ასევე, ყურადღებით გაეცანით დაყენებული პროგრამების პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას. ეს არის ის საბაზისო ასპექტები, რომლებიც უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვასა და დისტანციური სწავლების ხარისხს.

### 5.1.1. მოწყობილობის მომზადება

**როგორ უზრუნველყო მოწყობილობის უსაფრთხოება?**

- ▶ საჯარო სივრცეში ყურადღებით იყავით და სათანადოდ გაუფრთხილდით მოწყობილობებს.
- ▶ გამოიყენეთ ეკრანის ბლოკირების მექანიზმი და დააყენეთ უსაფრთხო პაროლი მოწყობილობებზე.
- ▶ მუდმივად განაახლეთ მოწყობილობის საოპერაციო სისტემა.
- ▶ დააყენეთ ანტივირუსული პროგრამა და ჩაურთეთ ავტომატური განახლების ფუნქცია.
- ▶ სასურველია, მნიშვნელოვან პერსონალურ მონაცემებზე შექმნათ სარეზერვო ასლები.
- ▶ შეამოწმეთ და გაუფრთხილდით მოწყობილობის ვიდეოთვალს და მიკროფონს.

### 5.1.2. ინტერნეტ კავშირის მართვა

დისტანციური სწავლების სერვისებთან ინტერაქცია პირველ რიგში იწყება თქვენ მიერ გამოყენებული ქსელით. უნდა გახსოვდეთ, რომ ღია, იგივე საჯარო და სახლის ქსელები, როგორც წესი, ბევრად მოწყვლადია კიბერშეტევების მიმართ, ვიდრე კორპორატიული ქსელი.

დისტანციურ სწავლებაში ჩართული პირების ზრდასთან და ახალი ინსტრუმენტების გაჩენასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა მავნე აქტორების მიზანმიმართული შეტევა პროცესში მონაწილე პირებზე.

ამრიგად, მნიშვნელოვანია, გამოიჩინოთ სიფრთხილე, დაიცვათ კიბერჰიგიენის მინიმალური პრინციპები და განივითაროთ უსაფრთხო მუშაობის უნარ-ჩვევები.

**როგორ გამოვიყენო ინტერნეტი უსაფრთხოდ?**

ქვემოთ მოცემული ქსელის სახეობები დალაგებულია მოწყვლადობის დონის კლების მიხედვით:

- ▶ Wi-Fi ან მობილური ინტერნეტი VPN-ის გამოყენებით.
- ▶ მობილური ინტერნეტი.
- ▶ კერძო (სახლის) Wi-Fi<sup>2</sup>.

<sup>2</sup> კერძო Wi-Fi არის პირადი მოხმარების პაროლით დაცული ქსელი, ხოლო საჯარო Wi-Fi არის საჯარო სივრცეებში გაზიარებული კავშირი.

- ▶ საჯარო (ღია) Wi-Fi.

საჯარო ადგილებში ღია Wi-Fi-ით სარგებლობისას ძალიან მაღალია თქვენს სისტემაში უნებართვოდ შეღწევის რისკი. საჯარო Wi-Fi შესაძლებელია გაზიარებული იყოს ნებისმიერი მავნე აქტორის მიერ, რომელსაც ის გამოიყენებს, მაგალითად, პაროლისა და მომხმარებლის, ან ქსელით გადაცემული სხვა ნებისმიერი ინფორმაციის უნებართვოდ მოსაპოვებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით რეკომენდებულია მაქსიმალურად მოერიდოთ საჯარო Wi-Fi-ის გამოყენებას.

**ტერმინი: ვირტუალური კერძო ქსელი (Virtual Private Network, VPN)**

ვირტუალური კერძო ქსელი (VPN) საშუალებას აძლევს მომხმარებლებს გაგზავნონ და მიიღონ მონაცემები საჯარო ქსელში დაშიფრული სახით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო კომუნიკაციას და იცავს პერსონალურ მონაცემებს არასათანადო წვდომისგან.

მოწყვლადია ასევე სახლის კერძო ქსელიც, სადაც თქვენი მარშრუტიზატორის კომპრომეტირებით კიბერკრიმინალს საშუალება აქვს მოიპოვოს სრული კონტროლი თქვენს ქსელზე და მასთან დაკავშირებულ ყველა მოწყობილობაზე.


**ტერმინი: მარშრუტიზატორი (Router)**


მარშრუტიზატორი (Router) არის ქსელური მოწყობილობა, რომლის ფუნქციაა განსხვავებული ქსელების ერთმანეთთან დაკავშირება.

**როგორ დავიცვა სახლში ინტერნეტის უსაფრთხოება?**

ქვემოთ მოცემული სცენარი განხილულია TP-Link მარშრუტიზატორის მაგალითზე. პროცესები მსგავსია სხვა მწარმოებლის შემთხვევაშიც, თუმცა, დახმარებისთვის ყოველთვის შეგიძლიათ მიმართოთ ინტერნეტ სერვისის მომწოდებელს.

- 1) მარშრუტიზატორის პარამეტრების შესაცვლელად ბრაუზერის საძიებო ველში შეიყვანეთ '192.168.0.1' ან '192.168.1.1' მისამართი. თუ აღნიშნული მისამართებით ვერ მოახერხებთ მარშრუტიზატორთან დაკავშირებას, მისამართი დაადგინეთ ინტერნეტ სერვისის მომწოდებელთან.
- 2) შეიყვანეთ მომხმარებლის სახელი და პაროლი. უმეტეს შემთხვევაში, თუ სტანდარტული, ქარხნული კონფიგურაცია არ არის შეცვლილი, მომხმარებლის დასახელება და პაროლი ორივე იქნება admin/admin. თუ მომხმარებელი და პაროლი არ ემთხვევა, ან ვერ იხსენებთ, მიმართეთ ინტერნეტ სერვისის მომწოდებელს.






3) მოწყობილობის ადმინისტრატორის პაროლის შესაცვლელად:

- მენიუში აირჩიეთ **System Tools > Password** და
- **New Password** ველში შეიყვანეთ რთული პაროლი (რთული პაროლის შესაქმნელად გაითვალისწინეთ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები).


4) Wi-Fi-ს სახელის შესაცვლელად მენიუში აირჩიეთ:

- **Wireless > Wireless Settings** და
- **Wireless Network Name** შეიყვანეთ ახალი სახელი, რომელიც გამოუჩნდება Wi-Fi-ს მომხმარებლებს.



5) Wi-Fi-ს პაროლისა და გადაცემული მონაცემების შიფრაციის მეთოდის შესაცვლელად

- მენიუში აირჩიეთ **Wireless > Wireless Security**.
- **Wireless Password** ველში მიუთითეთ რთული პაროლი (რთული პაროლის შესაქმნელად გაითვალისწინეთ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციები).
- შიფრაციის გასააქტიურებლად ველში აირჩიეთ **WPA2** და **Encryption** ველში - **AES**.



### 5.1.3. პროგრამების შერჩევა და ინსტალაცია

როგორ გადმოვიწერო და დავაყენო პროგრამები უსაფრთხოდ?

- ▶ შეამოწმეთ ვებგვერდის მისამართი: ვებგვერდი, რომელსაც არ აქვს მონაცემთა შიფრაციის პროტოკოლი (SSL) ან სხვა უსაფრთხოების დამადასტურებელი სერტიფიკატი, არ არის დაცული არასანქცირებული წვდომისგან.

- ▶ გადმოწერეთ პროგრამები ოფიციალური მწარმოებლისგან: ისარგებლეთ პროგრამებით, რომლებიც გადმოწერილია ოფიციალური ვებგვერდებიდან, როგორც არის: Microsoft Store, Apple App Store, Google Play Store და სხვა.
- ▶ ყურადღებით გაეცანით პროგრამის ღირებულებასთან დაკავშირებულ პირობებს: შეამოწმეთ, ხომ არ ითხოვს რეგისტრაციისთვის ან გამოყენებისთვის საფასურს.


**ტერმინი: მონაცემთა შიფრაციის პროტოკოლი (Secure Sockets Layer, SSL)**

მონაცემთა შიფრაციის პროტოკოლი (SSL) უზრუნველყოფს უსაფრთხო კავშირს ვებგვერდის მომხმარებელსა და ვებ-სერვერს შორის. SSL-ის გამოყენებით მონაცემთა გაცვლისას დაცულია კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება.


**როგორ შევამოწმო არის თუ არა ვებგვერდი უსაფრთხო?**

საჩვენებელ ფოტოზე მოცემულია ვებგვერდის უსაფრთხოების შემოწმება Google Chrome-ის ბრაუზერის მაგალითზე.

- გახსენით ვებგვერდი ბრაუზერში და დააკვირდით ბმულის მარცხნივ მოცემულ აღნიშვნას.
- დაკლიკეთ აღნიშვნაზე. შედეგად, გამოგიჩნდებათ ინფორმაცია ვებგვერდის უსაფრთხოების სტატუსის შესახებ.



Chrome გვერდის უსაფრთხოების შესაფასებლად იყენებს შემდეგი აღნიშვნებს:



**5.1.4. შეამოწმეთ უსაფრთხოების პოლიტიკა**

მონაცემთა უსაფრთხოების კანონმდებლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალდებულებს, საკუთარ მომხმარებლებს გააცნონ უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას: რა მონაცემებს აგროვებს პროგრამა? როგორ იყენებს ორგანიზაცია ამ მონაცემებს? რა მექანიზმები აქვს დადგენილი მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად? ყურადღებით შეამოწმეთ და გაეცანით უსაფრთხოების პოლიტიკას, ამ შემთხვევაში გეცოდინებათ, როგორ გამოიყენებს თქვენს პერსონალურ ინფორმაციას ვებგვერდი.

**სად ვნახავ უსაფრთხოების პოლიტიკას?**



უსაფრთხოების პოლიტიკის ბმული URL: <https://privacy.microsoft.com/en-gb/privacystatement>



უსაფრთხოების პოლიტიკის ბმული URL: <https://explore.zoom.us/docs/en-us/privacy.html>



უსაფრთხოების პოლიტიკის ბმული URL: <https://schoolbook.ge/privacy>

## 5.2. სისტემაში შესვლა და ნავიგაცია

დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლეების/სტუდენტების მიერ სისტემის უსაფრთხოდ გამოყენება და ნავიგაცია მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს.

### 5.2.1. პაროლების შექმნა და გამოყენება

სისტემაში შესვლისთვის პირველი ნაბიჯი მომხმარებლის რეგისტრაციაა, რისთვისაც აუცილებელია მოსწავლის/სტუდენტის ID და პაროლი. იმის გათვალისწინებით, რომ ეს მონაცემები პირის მთავარი იდენტიფიკატორია სისტემაში შესასვლელად, მოსწავლემ/სტუდენტმა განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღოს მის დასაცავად, რათა ვერავინ შეძლოს მოსწავლის/სტუდენტის ანგარიშში უნებართვოდ შესვლა და სისტემაში ნავიგაცია.

#### როგორ უზრუნველყო პაროლების უსაფრთხოება?

- ▶ გამოიყენეთ რთული პაროლი, რისთვისაც რეკომენდებულია:
  - ▶ პაროლი არ იყოს სიტყვა ან სახელი.
  - ▶ არ შეიცავდეს მოსწავლის/სტუდენტის სახელს, მისამართს ან დაბადების თარიღს.
  - ▶ შედგებოდეს 8 ან მეტი სიმბოლოსგან.
  - ▶ შეიცავდეს დიდ და პატარა ასოებს, ციფრებსა და სპეციალურ სიმბოლოებს, როგორებიცაა, მაგალითად, \*, /, & და ა. შ.
- ▶ სადაც შესაძლებელია, გამოიყენეთ ორდონიანი ავთენტიფიკაციის მექანიზმი.
- ▶ პაროლები არ შეინახოთ ფიზიკური სახით, მაგ. ფურცელზე დაწერილი.
- ▶ თუ სწავლის პროცესისთვის განკუთვნილ კომპიუტერს, ტაბლეტს ან ლეპტოპს სხვა პირიც იყენებს, პროგრამაში შესვლისას არ მონიშნოთ მომხმარებლის/პაროლის დამახსოვრების ველი. დარწმუნდით, რომ ანგარიშიდან გასვლის შემდეგ პაროლი შენახული არ არის.
- ▶ არ გაუზიაროთ თქვენი პაროლი სხვებს.
- ▶ შეეცადეთ არ გამოიყენოთ ერთი და იგივე პაროლი სხვადასხვა სისტემისთვის. შექმენით ინდივიდუალური პაროლი ყველა კრიტიკული სისტემისთვის.
- ▶ სასურველია, პერიოდულად განაახლოთ პაროლები.



## ორდონიანი ავთენტიფიკაცია (Two-factor authentication)

ორდონიანი ავთენტიფიკაციის დროს სისტემაში შესვლისას გარდა მომხმარებლის ID-სა და პაროლისა მოწმდება მეორე ფაქტორიც, მაგალითად, ერთჯერადი კოდი.

### 5.2.2. სისტემაში ნავიგაცია

რეგისტრაციის შემდეგ, მოსწავლეები/სტუდენტები იყენებენ სხვადასხვა სასწავლო პლატფორმებს, ფორუმებსა და აპლიკაციებს, რა დროსაც უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად მნიშვნელოვანია ქვევით მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ▶ არ დატოვოთ კომპიუტერი უყურადღებოდ. საერთო კომპიუტერის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებლად გამოდით ყველა ანგარიშიდან და დახურეთ ყველა ფანჯარა. ასევე, წაშალეთ კომპიუტერში შექმნილი დროებითი ფაილები, ბრაუზერის ისტორია და პაროლები.
- ▶ სასურველია არ მოძებნოთ თქვენი სახელი, მისამართი, პირადი ნომერი ან სხვა პერსონალური ინფორმაცია გაზიარებულ მოწყობილობებზე.
- ▶ პერსონალური მონაცემების შემცველი ნებისმიერი დოკუმენტი უმჯობესია შეინახოთ დამიფრული სახით და წაშალოთ იმ მომენტიდანვე, როდესაც აღარ გჭირდებათ.
- ▶ მოერიდეთ გაურკვეველი წარმომავლობის პორტატული მედია საშუალებების გამოყენებას (მაგ. USB).
- ▶ პორტატულ მედია საშუალებებზე (მაგ. USB) პერსონალური მონაცემების განთავსებისას აუცილებლად დაშიფრეთ ისინი ან დაადეთ პაროლი.
- ▶ დაბლოკეთ ან შეზღუდეთ ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების (ე.წ. „cookie“) გამოყენება ბრაუზერების მიერ. სხვა შემთხვევაში, პერიოდულად გაასუფთავეთ ისინი ბრაუზერიდან.

## ტერმინი: ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები (cookies)

HTTP cookie არის ვებგვერდიდან გაგზავნილი მონაცემების მცირე ნაწილი, რომელიც ინახება კომპიუტერში მომხმარებლის მიერ ბრაუზერით ვებგვერდების დათვალიერების პროცესში. ის საშუალებას აძლევს ვებგვერდს „დაიმახსოვროს“ მომხმარებელი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა მახასიათებელი, მაგალითად, მომხმარებელი და პაროლი, კომუნიკაციის დრო, თარიღი და ხანგრძლივობა, კომუნიკაციის ადგილმდებარეობა და ა. შ.

### 5.2.3. მეილების გამოყენება

სისტემაში ნავიგაციის გარდა, მოსწავლეები/სტუდენტები ხშირად კომუნიკაციის საშუალებად იყენებენ ელ-ფოსტას. ელ-ფოსტის დაუცველად გამოყენებამ შეიძლება პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობა რისკის ქვეშ დააყენოს. შესაბამისად, რეკომენდებულია შემდეგი წესების გათვალისწინება:

- ▶ თავი აარიდეთ პერსონალური მეილის გამოყენებას საგანმანათლებლო მიზნებისთვის და ისარგებლეთ სკოლის/უნივერსიტეტის/სასწავლო ცენტრის მიერ მოწოდებული მეილით.
- ▶ თავი აარიდეთ სკოლის/უნივერსიტეტის/სასწავლო ცენტრის მიერ მოწოდებული მეილის პირადი მიზნებისთვის გამოყენებას.
- ▶ არ გახსნათ მეილები, რომლებიც გამოგზავნილია არასანდო წყაროსგან. ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში გადაამისამართეთ მსგავსი მეილი სკოლის/უნივერსიტეტის/სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციასთან.
- ▶ არ გახსნათ მეილს თანდართული ფაილები, სანამ არ დარწმუნდებით რომ ის სანდო პირისგან/ორგანიზაციისგან არის გამოგზავნილი. ასეთი ფაილები შეიძლება ვირუსებს შეიცავდეს, რამაც შესაძლოა დააზიანოს თქვენი კომპიუტერი.
- ▶ არ გამოიყენოთ სასწავლო მეილი ვებგვერდებზე, რომლებიც უშუალოდ სასწავლო პროცესს არ უკავშირდება. შეეცადეთ თავი აარიდოთ მეილის გასაჯაროებას.

### 5.3. დისტანციური სწავლების შემდეგ პერსონალური მონაცემების წაშლა

სასწავლო პროცესის დასრულების შემდგომ, მოსწავლემ/სტუდენტმა უნდა შეაფასოს გამოყენებული პროგრამების საჭიროება და განიხილოს პერსონალური მონაცემების გასუფთავების საკითხი.

- ▶ პერიოდულად გადახედეთ დაინსტალირებულ პროგრამებს და წაშალეთ ის პროგრამები, რომლებსაც აღარ იყენებთ.
- ▶ სასურველია ბრაუზერიდან გასუფთავდეს საძიებო შედეგები.
- ▶ სწავლის დასრულებისას გააუქმეთ ან წაშალეთ ის ანგარიშები, რომლებიც აღარ გჭირდებათ.

## 6. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა სუბიექტების უფლებები და მათი რეალიზაციის მექანიზმები

დისტანციური სწავლებისას უფლება გაქვთ, მოითხოვოთ:

- ▶ ინფორმაცია თუ რა პერსონალურ მონაცემებს ფლობს საგანმანათლებლო დაწესებულება დისტანციური სწავლებისას თქვენ შესახებ, საიდან, რა მიზნითა და საფუძვლით მოიპოვა ასეთი პერსონალური მონაცემები.
- ▶ ინფორმაცია, ხომ არ გაუცია საგანმანათლებლო დაწესებულებას დისტანციური სწავლებისას თქვენი პერსონალური მონაცემები სხვა პირებზე. ინფორმაციის მოწოდების ფორმას ირჩევთ თქვენ.
- ▶ პერსონალურ მონაცემთა ასლები უსასყიდლოდ, გარდა იმ პერსონალური მონაცემებისა, რომელთა გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილია გარკვეული საფასური.
- ▶ დისტანციური სწავლებისას არაზუსტი ან არასრული პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, და უსაფუძვლოდ შეგროვებული პერსონალური მონაცემების წაშლა, დაბლოკვა ან განადგურება.
- ▶ თანხმობის გამოხმობა დისტანციური სწავლებისას თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია:

- ▶ მოთხოვნის შემთხვევაში მოგაწოდოთ ინფორმაცია თუ რა პერსონალურ მონაცემებს ფლობს დისტანციური სწავლებისას თქვენ შესახებ, რა წყაროდან, რა მიზნითა და საფუძველით.
- ▶ მოთხოვნის შემთხვევაში მოგაწოდოთ ინფორმაცია გაცემულა თუ არა პერსონალური მონაცემები სხვა პირებზე და რა მიზნით.
- ▶ გასცეს ინფორმაცია მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ, ან არაუგვიანეს 10 დღისა.
- ▶ გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს თქვენი პერსონალური მონაცემები მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში ან გაცნობით უარის თქმის საფუძველი.

### მნიშვნელოვანია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოგაწოდოთ დისტანციური საგაკვეთილო/სალექციო პროცესის დაწყებამდე დეტალური ინფორმაცია თქვენი რომელი პერსონალური მონაცემები და რა მიზნით უნდა დაამუშაოს. ასევე, მოგაწოდოთ განახლებული ინფორმაცია რაიმე ცვლილების შემთხვევაში.

### მნიშვნელოვანია

საგანმანათლებლო დაწესებულებამ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია მოგაწოდოთ თქვენთვის გასაგებ ენაზე.

## 7. დისტანციური სწავლებისას მონაცემთა კანონიერად დამუშავებისთვის დამხმარე საშუალებები


### 7.1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან კონსულტაცია

შეგიძლიათ დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე კონსულტაცია გაიაროთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი.

აგრეთვე, შეგიძლიათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიმართოთ დისტანციური სწავლებისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე არსებული საქმის წარმოების პროგრამა.





საქმის წარმოების პროგრამა ელექტრონული პლატფორმაა, რომელზე დარეგისტრირების შემდეგ ინსპექტორის აპარატთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ერთ ონლაინ სივრცეშია შესაძლებელი. შეგიძლიათ, მიიღოთ კონსულტაცია, გააგზავნოთ შეტყობინება, მიმართოთ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს განცხადებით და თვალი ადევნოთ რა ეტაპზეა თქვენი განცხადების თუ შეტყობინების განხილვა.

## 7.2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

რეკომენდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდეთ პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, რომელშიც გარდა მონაცემების დამუშავების მიზნებისა და საფუძვლებისა, განისაზღვრება მონაცემთა დამუშავების ვადები, ელექტრონულ მონაცემებზე წვდომის წესები, პირობები და უსაფრთხოების გარანტიები. ასევე, აღნიშნული პოლიტიკით დადგინდება პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას უფლებამოსილების განხორციელების მონიტორინგი და გამოვლენილ დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა მონაცემთა გამჭვირვალედ დამუშავების დეკლარირებას ახდენს. ამ დოკუმენტის არსებობა საგანმანათლებლო დაწესებულებაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მაღალ სტანდარტზე მიანიშნებს. დისტანციური სწავლების პროცესში პოლიტიკის ძირითადი ადრესატები თქვენ ხართ. მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესდეთ პოლიტიკით, მოიძიოთ ის საგანმანათლებლო დაწესებულებების ვებგვერდზე ან ადმინისტრაციაში, გაეცნოთ და თვალი ადევნოთ მის ცვლილებებს.

**გახსოვდეთ!** რომ საკუთარი მონაცემების დაცვაში მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეგიძლიათ. ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში პერსონალური მონაცემების დამუშავებაში თქვენი მონაწილეობა და კონტროლი განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია. არასრულწლოვანი მონაცემთა სუბიექტების უფლებები სრულწლოვნებისგან არაფრით განსხვავდება. მოითხოვეთ თქვენთვის გასაგები ენით აგიხსნან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესები და მიიღეთ მონაწილეობა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების საფრთხეების შემცირებაში.